იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოთა ხელოვნება

საბჭოთა კავშირში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-12 წელი

№ 22 (206)

ნოემბერი,

1968 წელი



ძველი და ახალი.

ფოტოგამოფენიდან „თბილისი და თბილისელები".

რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

ახალი სამეცნიერო-საკვლევი ბაზა

აქ, მცკვრის ნაპირას

დილომში შეიქმნა ახალი სამეცნიერო-საკვლევი ბაზა. ახლო მომავალში აქ გადმოვა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიისა და ჰემატოლოგიის ინსტიტუტი, აქ, მტკვრის ნაპირას, აშენდა ინსტიტუტის ორი ექვსსართულიანი კორპუსი და ვივარიუმის შენობა.

ლაბორატორიულ კორპუსში განლაგებენ თეორიულ განყოფილებებს— ბიოქიმიის, ჰემატოლოგიის, სისხლის შედედების, პათოფიზიოლოგიისა და ანესტეზიოლოგიის, ჰისტოქიმიის, პათომორფოლოგიის, სამედიცინო რადიოლოგიის, ექსპერიმენტული ქირურგიის განყოფილებებს, ციტოლოგიისა და გენეტიკის ლაბორატორიას. აქვე იმუშავებს სამედიცინო კიბერნეტიკის ახალი სექტორი. მისი ამოცანაა ფართოდ დანერგოს მედიცინაში თანამედროვე მათემატიკური მეთოდები, კიბერნეტიკისა და გამოსათვლელი ტექნიკის მიღწევანი.

ექსპერიმენტებისათვის აშენდა ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი საოპერაციოები. აქ სპეციალური ლიფტებით აიყვანენ საცდელ ცხოველებს.

200-საწოლიან კლინიკურ კორპუსში განლაგდება გულისა და სისხლძარღვების, ფილტვისა და ზოგადი ქირურგიის განყოფილებანი.

ახალი ბაზა საშუალებას მისცემს ქირურგებს გაშალონ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა ფონდი, უფრო ფართოდ აწარმოონ გულის ურთულესი ოპერაციები, რომელთა დროს გამოიყენებენ მედიცინის მიღწევებს,— „ხელოვნური გული —ფილტვი“ იქნება ეს თუ ბაროკამერული დანადგარი.

ქირურგიის ინსტიტუტის გვერდით აღმოჩნდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის შენობა, იქვე მახლობლად შენდება რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კორპუსი.

ამ ცოტა ხნის წინათ ახალი კორპუსი მიიღო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტმა. მალე ახალ შენობაში გადავა მისი ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიაც. რვასართულიან შენობაში, რომელიც სპეციალურად მისთვის შენდება, იქნება კონფერენც-დარბაზები, აუდიტორიები, სამკითხველო დარბაზი, წიგნსაცავი ლაბორატორიის შენობაზე მიშენებულია ექსპერიმენტული სახელოსნოები. უკვე დამთავრდა ვივარიუმის მშენებლობა, რომელიც გათვალისწინებულია ერთდროულად 10 ათასი ცხოველისათვის.

წლითიწლობით მტკიცდება რესპუბლიკის სამედიცინო დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ამ ცოტა ხნის წინათ გადავიდნენ ახალ შენობებში აკადემიკოს ი. ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტი.

ზღაპარი სინამდვილედ იქცევა

ივერიის მღვიმეებში

გახსოვთ ფილმი „ქვის ყვავილი“ ბაყოვის ზღაპრის მიხედვით? ამ სურათში ერთ-ერთ მკაფიო შთაბეჭდილებას ტოვებენ საოცარი სილამაზის მიწისქვეშა მღვიმეები. ფილმი გადაიღეს ჩეხოსლოვაკიაში ქალაქ ბრნოს მახლობლად. მაგრამ ბევრისათვის ცნობილი არ არის, რომ მღვიმეები „გაანათეს“ ფერადი პროექტორებით, რადგან მიწისქვეშა სტალაგმიტის მღვიმეების ბუნებრივი სპექტრი საკმაოდ შეზღუდულია. მასში ხშირად ჭარბობს მონაცრისფრო - შოკოსფრო, თეთრი და ყვითელი ფერები.

მაგრამ ბუნებას ადამიანებისათვის სულ ახალი სიურპრიზები მოაქვს. ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე ახალი ათონის მახლობლად 1961 წელს აღმოაჩინეს გამჭვირვალე კალციტის მღვიმეები, რომლებიც ფერების შეხამების სიმდიდრითა და მრავალფეროვანებით (აქ შეხვდებით მკაფიო ნარინჯის ფერსაც კი) სჯარბობს დღემდე ცნობილ ამგვარ კრისტალურ წარმონაქმნებს.

თვით კალციტის წარმოშობის პროცესი არაჩვეულებრივად საინტერესოა. ეს კირქვა ფართოდ გავრცელებულია დედამიწის ქერქში და ხშირად მრავალი მეტრის სისქისაა. კირქვის შრეები იფლეთება დედამიწის ზედაპირიდან ნაყონი წყლებით და ამავე დროს ხურდება წიაღიდან წამოსული ცხელი სუნთქვით. ამის შედეგად კირქვა უფორმო მასიდან იქცევა საუცხოო შედეულებულ კრისტალების მასად — ან გამჭვირვალე, ან მქრქალი სადაფის ფერისა. სხვადასხვანაირი ფერადოვანი შეხამებანი გადახლართულია საოცარ ნახატებად და ფორმებად, მოგვაგონებს ხან გიგანტურ გაყინულ წყალვარდნილს, ხან ოსტატურ აჟურულ ჩუქურთმას, ხან ფანტასტიკურ უძველეს დამწერლობას.

ივერიის მღვიმეების ცხრა დარბაზიდან თითოეულს განუმეორებელი სახე აქვს. დარბაზი „ტაძარი“ რუხ-მოყვითალო ტონისაა და მაღალი თაღი აქვს. „ტაძრის“ პარალელურად გახსნილია კიდევ 500 მეტრზე მეტი საერთო სიგრძის მღვიმეები, თავისებური მეორე იარუსი. მაგრამ სპელეოლოგები ჯერჯერობით არ შესდგომიან მათ შესწავლას — დაბრკოლებაა ორასმეტრიანი უფსკრული.

თეთრ-მწვანე დარბაზს „აფხაზეთში“ არის ტბა, რომელიც იკვებება წყლით უფსკრულიდან.

მომხიბვლელია მინიატურული დარბაზი „სოხუმი“, რომლის შუაგულში მოთავსებულია უწყლო სწორკუთხოვანი ტბა. მას გარშემო ამშვენებს თეთრი სტალაქტიტების ნაზი სვეტები. თითოეული მათგანის სიმაღლეა სულ ცოტა სამნახევარი მეტრი, ხოლო დიამეტრი არ აღემატება სამ სანტიმეტრს. ძნელი დასაჯერებელია, რომ ისინი ადამიანის ხელს არ გამოუთლია.

ყველაზე დიდია დარბაზი „სპილეოლოგიები“. იგი თითქოს ორ ნაწილადაა გაყოფილი. ერთი — თიხისა, კოლოსალური თასის ფორმის მქონე. მისი ზომები ისეთია, რომ აქ თავისუფლად მოთავსდებოდა დიდი სტადიონი. დარბაზის მეორე ნაწილი კრისტალურია, მისი ღირსშესანიშნაობაა ვეებერთელა სტალაქტიტი, რომელიც თეთრ აქაფებულ წყალვარდნილს ჰგავს.

მაგრამ მთელი ამ კომპლექსიდან ვერც ერთი დარბაზი ვერ გაუტოლდება სილამაზით „თბილისს“. მთლიანად თეთრ-ცისფერი, იგი თითქოს განასახიერებს სილამაზესა და სინაზეს. შესასვლელთან აღმართულია „გუშაგის“ თეთრი ფიგურა — ესეც ბუნების ფანტაზიის ნაყოფია. გასაოცარია თეთრი, ყინულივით სწორი კრისტალური ტაკები. სტალაქტიტის სხვადასხვა გაფერადებისა და ტონის დანაშრევები ქმნიან ფორმის და ფერის საუცხოო ჰარმონიას.

ალბათ თვით დიდი მეზღაპრე ჰანს ქრისტიან ანდერსენი გაოცდებოდა ჯადოქარი ბუნების ესოდენ შთაგონებული მუშაობით, რომლის წინაშე თოვლის დედოფლის ზღაპრული სამეფოს სილამაზეც კი არაფერია...

ჩვენ ზღაპარს თავისი უპირატესობა აქვს. იქ ადვილად შეიძლება მოხვდე, ამასთან უაღრესად თანამედროვე ხერხით.

ახალი ათონის ცენტრში ადმინისტრაციული შენობიდან, რომლის მშენებლობა ახლა გაჩაღებულია, სპეციალური მიწისქვეშა ელექტრომატარებლებით განხორციელდება კავშირი მთელ კომპლექსთან. უკვე გაყვანილია 700-მეტრზე მეტი გვირაბი მღვიმეების მიმართულებით.

ივერიის მღვიმეების კეთილმოწყობის პროექტის ავტორები არიან არქიტექტორები ვ. რიჟინაშვილი და თ. ძარკოზაშვილი. მშენებლობას აწარმოებს „თბილგვირაბმშენის“ № 212 სამშენებლო - სამონტაჟო მატარებელი. მთელი სამუშაოები დამთავრდება 1970 წელს.

შეენდეგა...

თბილისის მახლობლად ლოჭინის ხევში დაიწყო დიდი ორგანული სასუქების ქარხნის მშენებლობა. მისი ნედლეული იქნება ჩანადენი საწარმოო-სამეურნეო წყლები, რომლებიც ახლა მტკვარს ერთვის ქალაქის ფარგლებში და აჭუჭყიანებს მდინარეს.

ჩვენმა კორესპონდენტმა სთხოვა პროექტის ავტორს ინჟინერ გიორგი ჭუბაბრიას ეამბნა ამის შესახებ.

—ჩანადენი წყლები, — თქვა მან, — კოლექტორებით ჩავა დღეღამეში ერთი მილიონი კუბური მეტრი სიმძლავრის გასაწმენდ სადგურში. აქ წყალი განთავისუფლდება ორგანული მინარევებისაგან და გამოყენებული იქნება მოსარწყავად. ორგანული ნაწილი კი ბუნებრივი გაშრობის შემდეგ გაივლის თერმული დამუშავების სტადიას და გადაიქცევა ეგრეთწოდებულ პუდრეტად, შემდეგ მას ქალაქის დიდი ტომრებით გაიტანენ მინდვრებსა და პლანტაციებში. ასეთი ორგანული სასუქით განოყიერებულ ნიადაგს შეუძლია მწვანე ჩაის ფოთლის მოსავლიანობა ჰექტარზე გაზარდოს რამდენიმე ასეული კილოგრამით.

ქარხნის სიმძლავრეა 60 ათასი ტონა პუდრეტი წელიწადში. ეს საკმარისია 25-30 ათასი ჰექტარი ჩაის პლანტაციების გასანოყიერებლად. ორგანული მინარევებისაგან განთავისუფლებულ წყალს გამოიყენებენ სამგორის ველის ხუთი ათასი ჰექტარი მიწის მოსარწყავად.

ქარხნის მშენებლობის დამთავრების შედეგად სასუქის მიღების გარდა გაუმჯობესდება თბილისის სანიტარული მდგომარეობა და ამასთან ერთად მკვეთრად დაცული იქნება გაჭუჭყიანებისაგან.

„სამშობლოს ხმის“ ინტერვიუ

„ვეფხისტყაოსნის“ ახალი თარგმანი

ახლახან „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ახალი ინგლისური თარგმანი. ეს არის რუსთაველის გენიალური პოემის პირველი პოეტური თარგმანი ინგლისურ ენაზე, რომელიც შესრულებულია ქართული პოეზიის ცნობილი მთარგმნელის **ვენერა ურუშაძის** მიერ.

ვენერა ურუშაძემ ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ხალხებს ჯერ კიდევ თხუთმეტიოდე წლის წინათ ფართოდ გააცნო ქართული პოეზია. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში დიდი ინტერესით მიიღეს მის მიერ თარგმნილი და შედგენილი „ქართული პოეზიის ანთოლოგია“.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტმა რამდენიმე კითხვით მიმართა ვენერა ურუშაძეს.

გთხოვთ, მოკლედ გაგვაცნოთ ინგლისურ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის ისტორია.

— უცხოურ ენათაგან ერთერთი პირველთაგანი ინგლისური იყო, რომელზედაც რუსთაველის პოემა აჟღერდა. ალბათ, ჩვენთვის, ყველასათვის, მეტად თუ ნაკლებად, ცნობილია მარჯორი უორდროპის სახელი. გასული საუკუნის ამ შესანიშნავმა ინგლისელმა მოღვაწე ქალმა გაიცნო და შეიყვარა ქართული მწერლობა, ჩვენი მდიდარი და თავისებური ფოლკლორი. სწორედ მან თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“. პოემის ეს პროზაული თარგმანი დაიბეჭდა 1912 წელს, მარჯორი უორდროპის გარდაცვალების შემდეგ (თარგმანი შეავსო და დაასრულა მარჯორის ძმამ ოლივერმა). მარჯორისვე ეკუთვნის აგრეთვე ქართული ზღაპრებისა და ილიას „განდეგილის“ თარგმანი.

— როდის მოგივიდათ აზრად „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა?

— ზუსტად ვერ გეტყვით — როდის. მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ გენიალური ქართველი პოეტი ყოველთვის მაფიქრებდა. რამდენჯერ ზეპირად, ჩემდაუნებურად მითარგმნია „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეული სტროფები, მაგრამ ქაღალდზე გადატანას ვერ ვბედავდი, ვშიშობდი, ვაი თუ ისე არ გამოვიდეს, როგორც „ხელიხელ საგომანებელ“ პოემას ეკადრებამეთქი.

— ბოლოს გაბედეთ, არა?

— გავბედე, ვთარგმნე პოემის ნაწყვეტები, რომლებიც შევიდა „ქართული პოეზიის ანთოლოგიაში“. და როცა ამ ნაწყვეტებზე დადებითი გამოხმაურება მოვისმინე, პოემის მთლიანად თარგმნა გადავწყვიტე. ერთხელ, იმ ხანებში ზღვაზე ვიყავი, ზღვის ცისფერ სივრცეს გავყურებდი შოთას სტრიქონებთან შეჭიდებული და მე მისი პოეტური სტიქიის გადატანა სხვა ენაზე ისევე შეუძლებლად მეჩვენებოდა, როგორც იმ აღელვებული ზღვის ხელისგულში მოქცევა.

ვენერა ურუშაძემ თაროდან ახლადგამოცემული წიგნი გადმოიღო. ეს შესანიშნავად გამოცემული წიგნი გემოვნებით დაუსრულებია მხატვარ ზურაბ კაპანაძეს. მთარგმნელს ვთხოვეთ წაეკითხა რომელიმე ნაწყვეტი.

— შესავალი, განსაკუთრებული მიზეზების გამო, პროზად ვთარგმნე. ვფიქრობ, ასე სჯობია...

გვითხრა მთარგმნელმა, წიგნი გადაფურცლა და დაიწყო: „იყო არაბეთს როსტევან...“ ყურადღებით ვუსმენდით და ადფრთოვანებას ვერ ვმალავდით. ძალზე სასიამოვნოდ ჟღერდა. ვინ იცის, რამდენი შრომა და ენერგია შეალია მთარგმნელმა მეტრის დაცვას და დაბალი შაირის გადატანას ინგლისურ ენაზე.

— სულ რამდენ ხანს იმუშავეთ თარგმანზე?

— პოემის ნაწყვეტების თარგმნამ შემამზადა მთავარი სამუშაოსათვის. ასე, რომ წელიწადნახევარში შევძელი თარგმანის დამთავრება.

— იცნობენ თუ არა თარგმანს ინგლისელი მწერლები და რა აზრისანი არიან მის შესახებ?

— როდესაც ინგლისში გახლდით, ინგლისელ მწერლებს შევხვდი და მათ ჩემი თარგმანი გავაცანი. თარგმანი მოიწონეს ცნობილმა ინგლისელმა მწერლებმა ჯეიმს ოლდრიჯმა, ჩარლზ ლორდ სნოუმ, სილიტოუმ, დავით ლანგმა. ლანგი ჩვენს თარგმანს პრესაშიც გამოეხმაურა. ინგლისშიც ფიქრობენ „ვეფხისტყაოსნის“ ამ თარგმანის გამოცემას.

— როგორია თქვენი მომავალი შემოქმედებითი გეგმები?

— წინასწარ რა შემიძლია გითხრათ. აი, როდესაც ჩემს ახალ ჩანაფიქრს განვახორციელებ, მაშინ მოგახსენებთ.

თბილისი და თბილისელები

გაზეთის ამ ნომერში ვბეჭდავთ ფოტოგამოფენის „თბილისი და თბილისელების“ რამდენიმე ექსპონატს. გამოფენა მოწყობილი იყო საქართველოს სურათების გალერიაში.



ჭაშნიკი.



ანცი.



კარუსელი.



როგორც ჭაბუკობისას...



ვასო გოძიაშვილი.



მოფრინდნენ.



სერგო ზაქარიაძე.

საზღვარგარეთის გზებზე

თბილისიდან მიიწვიეს იაპონიაში

ხუთი წელიწადია იაპონიის დედაქალაქში არსებობს „ტოკიოს ბალეტი“, რომელიც გენიალური რუსი კომპოზიტორის პეტრე ჩაიკოვსკის სახელს ატარებს. მის პროფესიულ ზრდა-დაოსტატებაში დიდი წვლილი მიუძღვით საბჭოთა ქორეოგრაფებს, რომლებიც ტოკიოში დიდხანს მუშაობდნენ ახალგაზრდა მოცეკვავეებთან. (მაგალითად, რამდენიმე თვის განმავლობაში იაპონელთა ხელოვნებას სრულყოფდა რესპუბლიკის სახალხო არტისტი ზ. კიკალიშვილი). მათი დახმარებით ბალეტმა სახელი გაითქვა, დიდი წარმატებით გახასორციელა ჩაიკოვსკის „გედის ტბა“, ადახის „ჟიზელი“ და ერთი ეროვნული ნაწარმოები. მათთან ერთად ცეკვავდა მ. პლისეცკაია, წარმოდგენების მუსიკალურ ხელმძღვანელებად იწვევდნენ საბჭოთა დირიჟორებს. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ 5 წლისთავზე, როცა გადაწყვიტეს კვლავ ჩაიკოვსკის ბალეტის, ამჯერად „ძძინარე მზეთუხახავის“ ხორეშესმა, ხელმძღვანელობისათვის ისევ სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მიმართეს და ითხოვეს დირიჟორის გაგზავნა. სამინისტრომ არჩევანი ვ. ფალიაშვილზე შეაჩერა.

ეს არ არის შემთხვევითი. ბოლო წლებში რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კათედრის გამგე და პროფესორი ვ. ფალიაშვილი არა ერთხელ წარდგა უცხოელ მსმენელთა წინაშე და ხელი შეუწყო საბჭოთა სადირიჟორო სკოლის პოპულარიზაციას. იგი სიმფონიური კონცერტებით ეწვია კუბას, შემდეგ ზ. ფალიაშვილის სახელობის თეატრის საბალეტო დასს ახლდა უნგრეთსა და საფრანგეთში, საბჭოთა ბალეტის მსახიობთა კონცერტებს დირიჟორობდა ინგლისსა და ირლანდიაში. ეს იყო ჩვენი მუსიკოსის შემოქმედებითი სიმწიფის სერიოზული გამოცდა, რომელიც მან კარგად ჩააბარა და უცხოეთის პრესის საერთო მოწონება დაიმსახურა.

აი, ვ. ფალიაშვილი იაპონიაშია, ეცნობა „ტოკიოს ბალეტს“ და მის ხელმძღვანელებს. ბევრი რამ მისთვის ახალია და უცნობი, ზოგჯერ გაუგებარიც. ტოკიოში ოპერისა და ბალეტის თეატრი არ არსებობს, თვითონ საბალეტო დასიც არ არის პროფესიული, შედგება ქორეოგრაფიის ენთუზიასტებისაგან, რომელთაგან ბევრი სხვაგან მუშაობს და თავს ისე ირჩენს. საგულისხმოა, რომ მსახიობები ხელფასს მხოლოდ გამოსვლების დროს იღებენ და ისიც ძალზე მცირეს. საკუთარი დარბაზი არ აქვთ და დაქირავებულ შენობაში აწყობდნენ რეპეტიციებს განსაზღვრულ საათებში, და თუ ყველაფერს ვერ მოასწრებდნენ, გარკვეულ დროს მეცადინეობა უნდა შეეწყვიტათ — მათ ადგილს სხვები იჭერდნენ. სწორედ ამან აიძულევნა ქართველ დირიჟორს ერთ-ერთ პრეს-კონფერენციაზე: თქვენს დედაქალაქში 11 მილიონზე მეტი მცხოვრებია და მუდმივი თეატრი არ გაქვთ, ჩვენთან კი, პატარა საქართველოში, უკვე 100 წელიწადია საოპერო თეატრი არსებობს და ახლა მეორეც იხსნებაო.

ფილარმონიის სიმფონიურ ორკესტრთან (საკუთარი დასი არა ჰყავს) დღეში ეწყობოდა 7-საათიანი მომქანცველი რეპეტიცია (ისევ შენობის დაქირავების დროის გამო), შემდეგ ბალეტთან ერთად დღეში კვლავ შვიდსაათიანი რეპეტიციები...

ამასობაში კი გამოვიდა მდიდრულად გაფორმებული რეკლამები ახალი ბალეტის პრემიერაზე. წარმოდგენის პროგრამის პირველ გვერდზე დაბეჭდილი იყო სსრ კავშირის ელჩის ო. ტროიანოვსკის მისალმება „ტოკიოს ბალეტისადმი“ და მისი სურათი ავტოგრაფით. მეორე გვერდზე კი ვ. ფალიაშვილის ბიოგრაფია, ფოტოსურათით, ავტოგრაფი და მისალმება. ხვა გვერდზე — ვ. ფალიაშვილისა და ბალეტის ხელმძღვანელის სასაკის ფოტოსურათი. ჟურნალმა „მუსიკის მეგობარმა“ მთელი გვერდი დაუთმო ვ. ფალიაშვილის პორტრეტს. სხვათა შორის, ამავე ჟურნალშია სახელოვანი ქართველი მევიოლინის ლიანა ისაკაძის ფოტოსურათიც.

სულ გაიმართა ორი წარმოდგენა, რომლებსაც დირიჟორობდა ვ. ფალიაშვილი. ტოკიოელებმა ისეთი ინტერესი გამოიჩინეს, რომ შეიძლებოდა ბალეტის მესამედ ჩვენება, მაგრამ თეატრი უკვე სხვა მიზნით იყო გაქირავებული...

ადგილობრივი პრესა გულთბილად შეხვდა იაპონელებისათვის უცხო ბალეტს, გამოქვეყნდა აღფრთოვანების გამომხატველი რეცენზიები, რომლებშიც ერთხმად იწონებდნენ და მიესალმებოდნენ ქართველი დირიჟორის ნამუშევარს. სასაკის კიდეც უთქვამს ხუთრობანარევი სინანულით: უფრო ლაპარაკობენ მუსიკის გასხსნაზე, ვიდრე ბალეტზეო.

მუშაობისაგან თავისუფალ საათებში ეწყობოდა შეხვედრა გაზეთების რედაქციებთან, პრესკონფერენციები. რადიოთი მის გამოსვლას 20 წუთი დაეთმო და, რა თქმა უნდა, მსმენელებს მოკლედ გააცნო ქართული ხელოვნება, მისი ნიშან-თვისებები, ნახა სტუდენტთა ანტიამერიკული დემონსტრაციები და გამოსვლები ლოზუნგით: „შეწყვიტეთ ომი ვიეტნამში!“. იაპონიაში ქართველი დირიჟორი ხელცარიელი როდი ჩავიდა, მასპინძლებს უსახსოვრა ზ. ფალიაშვილის „დაისისა“ და ს. პროკოფიევის ბალეტ „გერიას“ დ. შოსტაკოვიჩის ოპერა „ლეიტერინე ჯმაიოლოვას“ ფირფიტები, „ევგენი ონეგინის“ პარტიტურა (სხვათა შორის, მისი მეორე მოქმედების ვალსი ბალეტის ფინალისათვის გამოიყენეს).

ამრიგად, ქართველმა დირიჟორმა მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია იაპონურ ქორეოგრაფიას, ხელი შეუწყო ახალი დადგმის წარმატებაში. მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა დაამყარა ხელოვნების იქაურ მუშაკებთან.

გასტროლებზე თურქეთში

„ჰაეროვანი ცეკვა, უძველესი სიმღერები“, ასე წერდნენ სტამბოლის გაზეთები საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „ორერას“, ვოკალური ანსამბლის „გორდელასა“ და მოცეკვავეთა ჯგუფის „დოლურის“ კონცერტების შესახებ.

ამ კოლექტივებმა პირველად გააცნეს სტამბოლის მსმენელებს ქართული სიმღერები. ქართული ხალხური ცეკვა თურქ მაყურებლებს უკვე ნანახი ჰქონდათ — თურქეთში საგასტროლოდ იყო საქართველოს ხალხური ცეკვის დამსახურებული ანსამბლი სსრ კავშირის სახალხო არტისტების ნ. რამიშვილისა და ი. სუხიშვილის ხელმძღვანელობით.

თურქეთში გასტროლების შესახებ ჩვენს კორესპონდენტს უამბო საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დირექტორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ **ა. ყიფიანმა.**

— ქართული ხელოვნების წარმომადგენლებმა სტამბოლში გამართეს 12 კონცერტი, — თქვა ა. ყიფიანმა. გასტროლები დაიწყო ძველი სტამბოლის ტებე-ბაშის საზაფხულო თეატრში. შემდეგ კონცერტები გაიმართა ქალაქის სხვა რაიონებშიც. პრინცის კუნძულებზე, სადაც ძირითადად სტამბოლის ინტელიგენცია ცხოვრობს, ქართველმა მსახიობებმა ოთხი კონცერტი გამართეს. საზაფხულო საკონცერტო ძოედნები ვერ იტევდა ყველა მსურველს. კონცერტებზე მოდიოდნენ აგრეთვე ქართული წარმოშობის მცხოვრებლები თურქეთის სხვადასხვა ქალაქიდან და რაიონიდან. სპეციალურად ამ გასტროლებისათვის კოლექტივმა მოამზადა ოთხი თანამედროვე თურქული სიმღერა, რომლებსაც მსმენელები აღტაცებული შეძახილებით შეხვდნენ. დიდი წარმატება ხვდა წილად რ. ლაღიძის სიმღერებს „ადანდალი-დანდალი“, „სიმღერა თბილისზე“, ხალხურ სიმღერას „სატრფოვ“ და სხვ. დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე ძველმა ქართულმა საგალობლებმა, რომლებსაც „გორდელა“ ასრულებდა და ქართულმა ცეკვებმა.

კონცერტების დამთავრების შემდეგ ადგილობრივმა ჟურნალისტებმა გამართეს პრეს-კონფერენცია. მათ ინტერესებდათ საქართველოს მუსიკალური ცხოვრება, განსაკუთრებით ხალხური სიმღერები.

„უმაგალითო, ფანტასტიკური კონცერტები“ — ასე წერდნენ რეცენზენტები. „ქართული საესტრადო მუსიკა, რომლის წყაროა ხალხური მუსიკა, — ამბობდნენ სპეციალისტები, — საინტერესო და თავისებურია, დიდ ყურადღებას იმსახურებს“.



რედაქტორი.



მოსწავლე.



ელენე ახვლედიანი.

ქართველი გერმანისტი

ოთარ ჩუციშვილი

ჯერ კიდევ საშუალო სკოლის მერხზე იჯდა ამჟამად უკვე ცნობილი მეცნიერი, ქართველ გერმანისტთა სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ნოდარ კაკაბაძე, როცა დაინტერესდა, თუ რა ადგილი და როლი განეკუთვნება გერმანულ მხატვრულ ლიტერატურაში კავკასიას და კერძოდ საქართველოს.

უნივერსიტეტის სტუდენტობის პირველივე წლიდან იგი აქტიურად ჩაება სტუდენტთა სამეცნიერო წრის მუშაობაში, რომლის სხდომებზეც მრავალი თემა წაიკითხა. უნივერსიტეტის პრემია დაიმსახურა მისმა მოხსენებამ „ვოლფრამ ფონ ეშენბახის ცნობა კავკასიის ოქროს შესახებ „პარციფალში“. საკითხის ღრმა ცოდნით გამოირჩეოდა მისი მეორე თემა „ცნობა კავკასიაზე ხალხურ წიგნში დოქტორ ფაუსტუსის შესახებ“. ამას მოჰყვა „ვერთერი სენტიმენტალური ნევრასთენიკოსი თუ პროტესტანტი?“, „ანტიურობის იდეალი გოეთეს შემოქმედებაში“ და სხვ.

1948 წელს ნ. კაკაბაძემ წარმატებით დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ფაკულტეტი და ასპირანტურაში განაგრძო სწავლა. იგი ახლა მთელ დროს ანდომებს ძველგერმანული და კლასიკური გერმანული ლიტერატურის ისტორიის ღრმა, მეცნიერულ შესწავლას. ამ საქმეში მას დახმარებას და ხელმძღვანელობას უწევენ ცნობილი მეცნიერები აკად. შ. ნუცუბიძე, პროფ. გრ. ხავთასი, დოც. ოთ. ჯინორია.

თანდათან ფართოვდება ნ. კაკაბაძის ინტერესთა სფერო, კვლევის ჰორიზონტი, საკითხის წვდომის უნარი. მას აღარ აკმაყოფილებს შუა საუკუნეების ევროპის ერთ-ერთი უდიდესი მწერლისა და მოაზროვნის ვ. ფონ ეშენბახის ნაწარმოების უდიდესი ეპოსის „პარციფალის“ ცალკეული იდეის კვლევა. წინარენესანსული განწყობილება, ადამიანის სხეულის კულტი, მიწიური არსებობის აღიარება, რელიგიური არტახებისგან განთავისუფლება, ჰუმანისტური იდეალი, სამყაროს ცენტრად ადამიანის მიჩნევა—აი ის საკითხები, რაც საერთო აქვთ შ. რუსთაველსა და ვ. ფონ ეშენბახს — დანტემდე ევროპის ამ უდიდეს ეპიკოსს და ნ. კაკაბაძეც ამ საკითხების კვლევით ინტერესდება. მას სურს აჩვენოს, რომ ერთი და იგივე ეპოქა ანალოგიურ იდეებს ბადებს სამყაროს სხვადასხვა კუთხეში. ეს თემა მაშინ ნ. კაკაბაძეს იმდენად იტაცებდა, რომ აპირებდა ვ. ფონ ეშენბახის შემოქმედება თავის საკანდიდატო დისერტაციის თემად შეერჩია, მაგრამ გამოცდილი გერმანისტებისა და, პირველ რიგში პროფ. გრ. ხავთასის რჩევით, სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემა ახალი გერმანული ლიტერატურიდან შეარჩია. ეს გახლავთ ჰაინრიხ მანის შემოქმედება, სადაც მკვლევარს მრავალი ყამირი ელოდებოდა.

ასპირანტურის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა მეცნიერი ინტენსიურად მუშაობს ჰ. მანის შემოქმედების მონოგრაფიულად შესწავლაზე და უკვე 1953 წელს ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას იცავს თემაზე: „ჰ. მანის შემოქმედებითი გზა“ (ცალკე წიგნად გამოვიდა 1956 წელს: „ჰ. მანის ცხოვრება და შემოქმედება“). ამ ნაშრომში ავტორი იკვლევს ჰ. მანის შემოქმედებითი და მსოფლმხედველობრივი განვითარების ეტაპებს.

ამიერიდან ნ. კაკაბაძე მუშაობს თბილისის უნივერსიტეტის გერმანული ფილოლოგიის კათედრის დოცენტად და თავისი წვლილი შეაქვს ახალგაზრდა გერმანისტთა აღზრდის საქმეში, კითხულობს ახალი და უახლესი გერმანული ლიტერატურის კურსს, ამის გარდა უნივერსიტეტის სტუდენტები მისი ხელმძღვანელობით ეუფლებიან გერმანული ლიტერატურის თარგმნის ხელოვნებას.

ახალგაზრდა მეცნიერის მოღვაწეობა მხოლოდ ამით არ ამოიწურება. იგი სისტემატურად მუშაობს თანამედროვე გერმანული ლიტერატურის წარმომადგენელთა შემოქმედების შესწავლაზე და უკვე მეორე ათეული წელია აქტიურად თანამშრომლობს ქართულ და გერმანულ პერიოდულ პრესაში, სადაც ლიტერატურული ხასიათის მრავალი საჟურნალო წერილი და სტატია გამოაქვეყნა, რომელთა უმრავლესობა ავტორის ფართო განათლებასთან ერთად მის ნათელ აზროვნებას მოწმობს. ქართველი მკითხველი უყურადღებით გასცნობია მის წერილებს ლიონ ფოიხტვანგერსა, არნოლდ და შტეფან ცვაიგებზე, გერჰარტ ჰაუპტმანსა, რაინერ მარია რილკესა, ალფრედ დობლინსა, ბერტოლტ ბრეხტსა, თომას და ჰაინრიხ მანებსა, ფრანც კაფკასა და სხვათა შემოქმედებაზე.

1966 წელს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჟურნალში („ვაიმარერ ბაიტრეგე“ № 3) დაიბეჭდა მისი ვრცელი გამოკვლევა სათაურით „პაულ თომასი წერს ლექსებს ანუ ახალგაზრდა თომას მანის ლირიკის კომენტარები“.

გერმანისტიკის დარგში მომუშავეთ კარგად იციან, რომ თ. მანის ადრეული შემოქმედება საერთოდ ნაკლებად, ხოლო მისი ზოგიერთი ნაწარმოები სრულიად შეუსწავლელი იყო (ჩვენ აქ ვგულისხმობდით თ. მანის ლირიკულ ლექსებს და რამდენიმე პროზაულ ესკიზს, იმპრესიონისტული ხასიათის ნაწარმოებს „ვიზიონი“ და სხვანი). ჩვენი თანამემამულის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან პირველმა განიხილა დაწვრილებით გიმნაზიელი თ. მანის მიერ თავის მშობლიურ ქალაქ ლიუბეკში გამოცემული (1893 წ.) ნაბეჭდი ჟურნალის „გაზაფხულის ქარიშხალის“ სამივე ნომრის (მეტი არ გამოსულა) მასალები და მათი გერმანელ მწერლებთან შედარება-შეჯერებით დაასკვნა, რომ თ. მანის ადრეულ ნაწარმოებებში თ. შტორმის ლირიკისა და პროზის და ჰ. ჰაინეს „სიმღერათა წიგნის“ გავლენა იგრძნობაო.

აღნიშნულ გამოკვლევას გამოეხმაურნენ თ. მანის ბიბლიოგრაფები და თ. მანის სპეციალისტები გდრ-დან ჰარი მატერნი და ცნობილი ამერიკელი გერმანისტი კლაუს ვ. იონასი (აშშ). მათ მაღალი შეფასება მისცეს ნ. კაკაბაძის ნაშრომს, რომელიც ამ დარგში დღესაც ერთადერთია.

რაკი სიტყვა თ. მანზე ჩამოვარდა, ისიც გვინდა აღვნიშნოთ, რომ ნ. კაკაბაძეს მრავალი წელია მიწერ-მოწერა აქვს ამ მწერლის ქალიშვილთან—ერიკა მანთან, რომელიც მამის ლიტერატურული მემკვიდრეობის გამგებელი და გამომცემელია (ცხოვრობს ციურიხის მახლობლად კილხბერგში, მამისეულ სახლში). ქართველი მეცნიერი სადოქტორო თემაზე მუშაობისას ერიკა მანისაგან იღებდა კონსულტაციებს ზოგიერთ საკითხზე, მაგრამ თვითონაც ისეთი სისრულით იცნობს თ. მანის ცხოვრებასა და შემოქმედებას, რომ მან ერიკა მანს შეუსწორა ზოგიერთი ფაქტიური ხასიათის შეცდომა, რომლებიც ქალიშვილს მამის წერილების ბოლოში დართულ კომენტარებში გაეპარა.

1967 წელს იმავე „ვაიმარერ ბაიტრეგეში“ (№ 3) ნ. კაკაბაძემ მოათავსა ვრცელი წერილი, სადაც მკითხველს აცნობს ქართველ გერმანისტთა საკმაოდ ძლიერი სკოლის ღვაწლს, მომოიხილავს გერმანისტიკის დარგში ქართველ მეცნიერთა მიერ გაწეულ შრომას, რომელსაც სისტემატური ხასიათი მხოლოდ ჩვენი საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან მიეცა, თუმცა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ჩაეყარა საძირკველი.

ნ. კაკაბაძე განსაკუთრებით ნაყოფიერად იკვლევს გერმანიის მეოცე საუკუნის ლიტერატურას. 1964 წელს გამოვიდა ამ დარგში მისი სისტემატური კვლევის პირველი შედეგი. ეს გახლავთ „ნარკვევები XX ს. გერმანული ლიტერატურიდან“, წიგნი I. აქ განხილულია გ. ჰაუპტმანის, ჰ. და თ. მანების, ჰანს ფალადას და სხვათა შემოქმედება.

ამ მიმართულებით ავტორი მუშაობას კვლავაც განაგრძობს და XX საუკუნის გერმანული ლიტერატურის მეორე წიგნში განიხილავს ჰ. ჰესეს, ბ. კელერმანის, ფ. ვედეკინდის, ლ. ფრანკის და სხვათა შემოქმედებას,

(დასასრული მე-6 გვერდზე).

რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

ქართველი გერმანისტი

(დასასრული).

ბოლო მესამე წიგნში ფედერაციული გერმანიისა და შვეიცარიის ისეთი წარმომადგენლების შემოქმედებას, როგორიც არიან ვ. ბორჰერტი, ჰ. ბიოლი, ჰანს ვერნერ რისტერი, კ. ოპიცი, ფ. დიურენმატი და სხვანი.

მწერლის შემოქმედებითი გზის, მისი მრწამსის უტყუარი ანალიზისათვის მარქსისტულ-ლენინურ თვალსაზრისის მომარჯვებასთან ერთად, როგორც ცნობილია, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობის გაცნობა, არამედ ამ მწერალზე არსებული კრიტიკული ლიტერატურის გაცნობაც, ამას გარდა მეტად მნიშვნელოვანია თვით ამ მწერლებთან ურთიერთობა, პირადი კონტაქტები. ნ. კაკაბაძე ამ უკანასკნელ მომენტსაც სათანადო ყურადღებას უთმობს და მრავალ გერმანელ მწერალს უზიარებს თავის შეხედულებას მათი შემოქმედების კარდინალური თუ ნაკლებმნიშვნელოვან საკითხებზე.

ქართველ გერმანისტს ხანგრძლივი მიწერ-მოწერა აქვს ცნობილი გერმანელი სატირიკოსისა და ანტიფაშისტის კურტ ტუხოლსკის ქვრივთან მერი ტუხოლსკისთან, რომელიც მიუნხენის მახლობლად განსვენებული ქმრის არქივს განაგებს.

შ. ცვაიგის შემოქმედების ზოგიერთი საკითხის გამოსარკვევად ნ. კაკაბაძეს დასჭირდა ავსტრიელი მწერალი ქალის — მარია ვინტერნიც ცვაიგის კონსულტაცია (იგი შ. ცვაიგის პირველი ცოლი იყო), რომელიც ქმრადყოფილის თაობაზე მრავალი საინტერესო წიგნის ავტორია. მისი დახმარებით ნ. კაკაბაძემ დააზუსტა შ. ცვაიგის შემოქმედების საყურადღებო საკითხები და თარიღები. ასეთივე ურთიერთობა აქვს მას ჰ. ბიოლთან და ა. ზეგერსთან. ამას წინათ მან ჰ. ბიოლისაგან, მის სხვა ქართველ მეგობრებთან ერთად, მწერლის 50 წლისთავის მილოცვაზე მადლობის ნიშნად მიიღო ლექსი „ჩემი მუზა“.

1966 წელს ნ. კაკაბაძე სტუმრად იყო გერმანელ მწერალ ერვინ შტრიტმატერთან მისი მიწვევით. იქ ყოფნის დროს მას შეხვედრა მოუწყო გდრ-ის ხელოვნების აკადემიის ყურნალის „ზინ უნდ ფორმის“ რედაქციამ. ჟურნალის მთავარი რედაქტორი ვ. გირნუსი დაინტერესდა შ. რუსთაველით, ქართული ხალხური ეპოსის თანამედროვე წუაროებით, ქართული მწერლობისა და ხალხური ტრადიციების ურთიერთდამოკიდებულებით, ქართული რომანისა და სხვა საკითხებით, რაზეც სტუმარმა მათ ამომწურავი პასუხი გასცა. საუბარი ჟურნალმა დაბეჭდა 1966 წელს სპეციალურ ნომერში, რომელიც რომანის პრობლემებს მიეძღვნა.

ნ. კაკაბაძის ახლო მეგობარია გდრ-ის ცნობილი პოეტი და მთარგმნელი რაინერ კირში. ქართველი მკითხველისთვის ინტერესსმოკლებული არ იქნება, თუ ვაცნობებთ, რომ რ. კირშმა თავს იდო ჩვენი სასიქადულო მგოსნის ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 150 წლისთავთან დაკავშირებით მისი მთელი პოეზიის გერმანულად თარგმნა, რაც ღირსეულად აასრულა კიდეც.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ქართველი მეცნიერი დიდი ხანია საგანგებოდ იკვლევს საკითხს, თუ როგორ აისახა კავკასია და საქართველო გერმანულ ლიტერატურაში. ამ საკითხის კვლევის შედეგია წიგნი „კავკასია და საქართველო გერმანულ ლიტერატურაში“, რომელიც 1963 წელს ნ. რუხაძესთან ერთად გამოსცა. ეს საკითხი აინტერესებს მას თანამედროვე გერმანულ ლიტერატურაშიც. კერძოდ ქართველ მკითხველს მან პირველმა აცნობა ბ. ბრეხტის დრამის“ „კავკასიური ცარცის წრის“ თაობაზე, რომელშიც მოქმედება საქართველოს სინამდვილეზეა აგებული.

მას არ აკმაყოფილებს მხოლოდ გერმანისტიკის აქტუალური საკითხების კვლევა და თავისი წვლილი შეაქვს ქართული ლიტერატურული კრიტიკისა და ლიტერატურისმცოდნეობის საკითხებშიც. გამოაქვეყნა წერილები რევაზ ჯაფარიძის, გრიგოლ აბაშიძის, არჩილ სულაკაურის შემოქმედების ზოგიერთ საკითხებზე. არანაკლებ საყურადღებოა მისი წერილები ლიტერატურის თეორიის ისეთ საკითხებზე, როგორიც არის სატირა და ჰუმორი, პაროდია, ნოველა და მოთხრობა, სიმბოლო და ალეგორია, გროტესკი და კარიკატურა, თანამედროვე რომანის სპეციფიკა, ესთეტიკისა და თარგმანის თეორიული საკითხები. მისი სანუკვარი ოცნებაა გამოკვლევები მიუძღვნას საყვარელ ქართველ მწერლებს გალაკტიონს (რომელზეც მუშაობა უკვე დაწყებული აქვს), ნ. ლორთქიფანიძესა და ანა კალანდაძეს.

ნ. კაკაბაძემ ა. წ. 12 აპრილს დაიცვა სადოქტორო თემა „თომას მანის ადრეული შემოქმედება“, რომელიც წარმოადგენს ჩაფიქრებული ვრცელი ნაშრომის ერთ, პირველ ნაწილს. საერთოდ იგი ფიქრობს ამ მწერლის შემოქმედების მონოგრაფიულად შესწავლას, რასაც, მისი აზრით, ოთხი წიგნი დასჭირდება. ამასთან ერთად განაგრძობს ისეთი ლიტერატურული მიმდინარეობების წარმომადგენელთა შემოქმედების შესწავლას, როგორიც არის ექსპრესიონიზმი და იმპრესიონიზმი, პარალელურად მუშაობს სტუდენტებისათვის გერმანული ლიტერატურის სახელმძღვანელოს შედგენაზე და ამრიგად ნიადაგს ამზადებს XX საუკუნის გერმანული ლიტერატურის ისტორიის დასაწერად.



პედაგოგიურ-სამეცნიერო მუშაობას ნ. კაკაბაძე კარგად უხამებს საზოგადოებრივ საქმიანობასაც. იგი როგორც საბჭოთა კავშირ-გერმანიის საზოგადოების საქართველოს განყოფილების ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი, აქტიურად მოღვაწეობს ორ ქვეყანას შორის არსებული მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის. სწორედ ამის გამო იყო, რომ გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდიუმმა 1967 წელს იგი ოქროს სპატიო ნიშნით დააჯილდოვა.

წელს დაარსებიდან ნახევარი საუკუნე შეუსრულდა ქართულ უნივერსიტეტს, რომელსაც დამსახურებული სახელი და დიდება შესძინა მისი კედლებიდან გამოსულმა მრავალმა მეცნიერმა. ერთ-ერთი მათგანია ცნობილი ქართველი გერმანისტი ნოდარ კაკაბაძე.

სურათზე: ნოდარ კაკაბაძე (მარცხნივ) და გერმანელი მწერალი ჰაინრიხ ბიოლი.

გიორგი და ელენე

პაპაშვილები

ნოეს წყალობით

ნაწყვეტები წიგნიდან

7.

ქედანას და მე ეს პრობლემა უკვე გადაჭრილი გვქონდა, მაგრამ აღარ გავამხილე. არ მინდოდა იმ ქალბატონის ღირსება შემელახა მისი მოსწავლეების თანდასწრებით. ამიტომ ჩემთვის ვიდექი და ვუყურებდი, როგორ იხლართებოდნენ ძაღლები და ადამიანები საბელებში და რა წვალებით იხსნიდნენ თავს. ბოლოს, როგორც იქნა, შემდეგ კლასში გადავედი. აქ ძაღლებს საგნების მოტანას ასწავლიდნენ — პატრონები ხის ჰანტელებს აგდებდნენ და ძაღლებს უნდა მოეტანათ. რა თქმა უნდა, ძაღლები მაშინვე ხვდებოდნენ, რომ საჭირო იყო ჰანტელის უკან დაბრუნება. რომ არ დაებრუნებინათ, ხელახლა ვეღარ გადააგდებდნენ და მათ გართობასაც ბოლო მოეღებოდა. მაგრამ ძაღლებს არც ისა რჩებოდათ შეუმჩნეველი, რომ მათი პატრონები ამ თამაშს ძალიან რთულ და სერიოზულ საქმედ თვლიდნენ. ამიტომ ზრდილობას იჩენდნენ და სწრაფად არა სწავლობდნენ მოტანას.

— თქვენი ცუგა მოახერხებს ამას? — მკითხა პროფესორმა ქალმა. ვერაფერთქი, ვუპასუხე. იმის განმარტება, რომ ქედანა ჩემი ცუგა კი არა, ჩემი მეგობარი იყო, აღარ მივიჩნიე საჭიროდ და არც ის ვუთხარი, რომ თუ ჰანტელს გადავაგდებდი (ხელში რომ ჩამვარდნოდა, არ გავიჩერებდი — აუცილებლად მოვიშორებდი), სულაც არ გამეხარდებოდა უკან რომ მოეტანათ.

ამის შემდეგ კვლავ დიდ დარბაზში დავბრუნდით. აქ ახლა მორჩილების გაკვეთილი მიდიოდა.

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სამშობლოს ხმა“ № 21.

8.

— დაჯექი! არ ადგე! დაწექი! — ყვიროდნენ პატრონები, და ძაღლებიც მაშინვე ემორჩილებოდნენ.

— ამაზე რას იტყვით? — მკითხა ქალბატონმა, ყელი მოიღერა და ამაყად გაიღიმა.

— კი, შესანიშნავია, თუ დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს ძაღლზე მეტი ჭკუა მაქვს. მაგრამ თუ მართლაც ასეა, ძაღლი რაღად მინდა.

— კი მაგრამ არ გინდათ,რომ თქვენი ძაღლი გიჯერებდეთ?

— გააჩნია როდის. ვთქვათ, მან დაამთავრა თქვენი სწორა და ჩვენ — ჩემმა ძაღლმა და მე, ტყეში გავისეირნეთ. უცებ ბუჩქებიდან ფაჩუნი მოგვესმა. ძაღლმა ყურები დაცქვიტა და ბუჩქისაკენ გაიწია. მოიცა! — ვეუბნები მე, — ეს ხომ ციყვია, დაჯექი! ძაღლს თავის დიპლომი ახსენდება და ჯდება. მე კი შემჭამენ.

— შეგჭამენ?!

— დიახ! ბუჩქებში განა მართლა ციყვი ფაჩუნობდა — მგელი იყო ჩასაფრებული.

— მგელი?!

— მგელი! მე ახლა მკვდარი ვარ და ახია, რადგან ძაღლის საქმეში ჩავყავი ცხვირი, მან არ უნდა მკითხოს, ვის ვირჩევ პრეზიდენტად, მე კი არ უნდა ვასწავლო ციყვისა და მგლის გარჩევა. კაცს სხვანაირი ტვინი აქვს, ძაღლს სხვანაირი და ერთმაც თავისი საქმე უნდა იცოდეს და მეორემაც.

— კი მაგრამ გაუწრთვნელი ძაღლი საშინელებაა, — შემეკამათა დირექტორი.

— ყველა ახალგაზრდა ცხოველი მოუსვენარი და ანცია. პატარა ნიანგებიც კი ეშმაკობენ ხოლმე, მაგრამ არაფერია, ძაღლი გაიზრდება და დაჭკვიანდება.

— როგორ?

— ჩვენს ლაპარაკს მოისმენს, ჩვენს ქცევას დააკვირდება. მოვეფერებით, გაველაპარაკებით. ისიც მიხვდება, რა გვინდა მისგან და ისე მოიქცევა, ოღონდ თავისით, თავისი სურვილით და თავის დროზე.

მართლა ასე მოხდა. ფერმაში რომ გადავედით და ქედანა ერთი წლისა გახდა, ლეკვური ოინები დაივიწყა და თავის მოვალეობათა შესრულებას შეუდგა. ეს მოვალეობანი არც თუ ისე მცირერიცხოვანი აღმოჩნდა:

ქედანა იყო მთელი 76 აკრის გენერალური ინსპექტორი, საგანგებო პოლიცია, რომელიც ბაღ-ბოსტანს ქათმებისაგან იცავდა და მიმღები კომიტეტი, რომელსაც სტუმრები კარამდე უნდა მიეცილებინა.

გარდა ამისა, მას თვალი უნდა დაეჭირა ციყვების ოჯახზე, რომ ნეკერჩხლის ხე არ გაეფუჭებინათ, უნდა დაეფრთხო ჩხიკვი, რომელიც იმ ძვლების მოტაცებას ლამობდა, ქედანას შავი დღისათვის რომ ჰქონდა გადანახული, და ხვნის დროს ტრაქტორს გასძღოლოდა წინ. ერთი სიტყვით, ხუთი-ექვსი ძაღლის საქმე მაინც დაეწვა კისერზე. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ქედანას მეგობარი არა ჰყავს. ეს კი არც ადამიანისათვის ვარგა და არც ცხოველისათვის. სანამ იმის ფიქრში ვიყავით, თუ სად გვეშოვნა მისთვის მეგობარი, განგებამ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, თვითონ იზრუნა ამაზე.

9.

ერთ დღეს ნიუ-იორკიდან ჩემი მეგობარი კოსტა მესტუმრა და, მანქანა გააჩერა თუ არა, მკითხა, ლეკვი არ გინდაო?

— მინდა, ოღონდ გააჩინია როგორი-მეთქი, „გერმანული ნაგაზი მინდა, ძუ, შავი ძვალმსხვილი...“

კოსტამ მანქანის უკანა სკამისაკენ გადაჰყო ხელი და, რაღაცა მანქანებით, მე რომ მინდოდა სწორედ ისეთი ლეკვი ამოიყვანა — პაწაწა, ლამაზი. ზურგი და დრუნჩი შავად უპრიალებდა, ყელს ვერცხლისფერი ხალები უმშვენებდა, ფეხები და თათები ისეთი თეთრი ჰქონდა, გეგონებოდათ სამეჯლისო თეთრი ხელთათმანები აცვიაო.

— გარაჟში ვეღარ გავაჩერებ, მითხრა კოსტამ და პირში თითი ჩაუდო მოსაწოვად, — პულვერიზატორს ვერ იტანს და მაშინაც ძალიან წუხს, როცა ზეთით ისვრება ხოლმე. ისე კარგი ძაღლია. თუ არა გჯერა, აი, საბუთებს გიჩვენებ.

— მე პაპაშენის მამის ვინაობა არ გამომძიებია და მაგისი რატომ უნდა ვიკითხო? — ვუთხარი კოსტას — თვალად ვატყობ, რაც არის და ვიტოვებ. იმედია მასაც მოვეწონები. შენზე არ იდარდებს?

— არა, მხოლოდ ორი კვირაა, რაც ჩემთან არის. სანამ არ მოგეჩვევა, აქ ვიქნები.

კოსტამ ლეკვი მიწაზე დასვა. ქედანა მიუახლოვდა, მაგრამ ლეკვმა არაფრად ჩააგდო და სეირნობით შემოუარა ეზოს. ქედანა ბრექით მისდევდა უკან. ლეკვი ერთი გემრიელად გადაკოტრიალდა ბალახზე, შემდეგ წამოდგა, მოელვარე ბეწვი გაიფურთხა და თათების ლოკვა დაიწყო. როცა თათები კარგად გაიპრიალა, ქედანასთან მივიდა და სტუმარ-მასპინძელმა ერთმანეთი დასუნეს. შემდეგ ლეკვმა ქედანას ბურთს მოჰკრა თვალი და წაეტანა.

— ახლა კი ატყდება აურზაური, — ვუთხარი კოსტას. ეს ბურთი ქედანას პირადი საკუთრებაა, როგორც პენსილვანიის რკინიგზა ჯ. ბ. მორგანისა. არაფრით არ დაუთმობს ამ ბურთს.

მაგრამ წარმოიდგინეთ, დათმო! ლეკვმა ბურთი გააგორა, შემდეგ დაიჭირა და ქედანას მიუგდო. მერე ისევ წაგლიჯა, ქედანას საკუთარ ფარდაგზე გადაიტანა და ლოღნა დაუწყო. ქედანა კი სავსებით დაემყოფილდა ცემენტის ცივი იატაკით და აღტაცებით დაუწყო მზერა ლეკვის საქმიანობას.

ცოტა ხანში ეს ლეკვი ჩვენი ოჯახის წევრი გახდა. სახელად მურა დავარქვით ბუცას დედის მოსაგონებლად და კიდევ იმიტომ, რომ მურივით შავი დრუნჩი ჰქონდა.

ქედანამ თავისი საყვარელი თამაშობანი ასწავლა: ბურთაობა, კბილებით ჯოხის დაჭერა და აქეთ-იქით ქნევა, ვითომ ახლოს არ მომეკაროთო და, რაც მთავარია, ჩიტების დევნა.

ბინდი რომ ჩამოწვებოდა, ორივენი წინ და უკან სირბილს იწყებდნენ. ისინი ჰაერში მონავარდე ჩიტებს დასდევდნენ და ცდილობდნენ იმათი მოძრაობაც გადმოეღოთ: ძაღლები ხტოდნენ, მალაყს გადადიოდნენ და ერთმანეთს გზას უჭრიდნენ. ჩიტები ძაღლებს მეტისმეტად ბრიყვ არსებებად თვლიდნენ და, თვითონ ძაღლებსაც რომ შეეგნოთ ეს უბრალო ჭეშმარიტება, ისე დაბლა ეშვებოდნენ,

10.

რომ ლამის პირში ჩავარდნოდნენ მათ. როცა ძაღლებს ქანცს გაუწყვეტდნენ, ხეებზე შემოსხდებოდნენ და სიტყვიერ შეურაცხყოფაზე გადადიოდნენ. ქედანა კი ამ დროს ჩაცუცქდებოდა და გამწარებული ყეფით უხმობდა ჩიტებს: ჩამოდით, ვიჩხუბოთ და მაშინ გამოჩნდება, ვინ არის ნამდვილი ძაღლიო.

ერთ საღამოს ერთი ნამგალა ჩიტი პირდაპირ ხახაში ჩაუფრინდა მურას. არ ვიცი, რატომ მოიქცა ასე — ცხოვრებაზე გული აუცრუვდა და თვითმკვლელობა გადაწყვიტა თუ სხვა მიზეზი იყო. მურამ მჭახედ ამოასვენა და ჩიტი ყელიდან ამოაგდო. ჩიტი ერთ წუთს გაოგნებული ეგდო მიწაზე, შემდეგ გოხს მოვიდა და ბუჩქებში შეფრთხიალდა. მურამ ცოტა ხანს თავი აქნია, შემდეგ დააცემინა, ცოტა ბალახი შეჭამა პირის ჩასაწმენდად და კიბის ქვეშ შეხოხდა, სადაც ვერც ერთი ჩიტი ვეღარ მიაგნებდა. ამის შემდეგ მურას ამ თამაშზე გული აუცრუვდა.

ვირი სანადიროდ წავიდა და ნალებიც იქ დატოვაო, რომ იტყვიან, ისე დავმართა ჩვენს მურას.

რამდენიმე თვის შემდეგ გადავწყვიტეთ ჩვენი მეგობარი კოსტა მოგვენახულებინა. ჩვენი აზრით, მურას ძალიან ენატრებოდა იგი. თან ქედანაც გავიყოლიეთ.

ჩვენ კოსტას და მისი მეუღლის ოთახებში დავბინავდით, ძაღლები კი გარაჟში მოვათავსეთ, რადგან იქ უფრო ხალვათად იქნებოდნენ. მაგრამ მურას არც ახლა მოეწონა ზეთით მოსვრილი იატაკი, ამიტომ ძალიან გაეჯავრდი — კატაზე უფრო წუნია ყოფილხარ-მეთქი. შემდეგ ქედანა საქმეს აღარ მოვაცდინე (ერთი წვალებით ძვრებოდა საბარგო ურიკაში, რათა გამოეკვლია, თუ რა მხეცები ცხოვრობდნენ შიგ), მურა წამოვიყვანე და ჩემს მანქანასთან მივედი. მანქანიდან ძველი ფარდაგი გადმოვიღე, გარაჟში მივბრუნდი და მურას დავუფინე. მურა დაკმაყოფილდა, ფარდაგზე წამოწვა და თითების ლოკვა დაიწყო. ეტყობოდა მეჩვენა, რომ თითები ზეთით ჰქონდა მოსვრილი. ჩვენმა მეგობრებმა იმ ღამეს კარგად გვაქეიფეს. ვჭამეთ, ვსვით, ვიმღერეთ. შუაღამისას სახანძრო მანქანამ ჩაიქროლა ზარის რეკვით. ელენემ მაშინვე გამაღვიძა და მითხრა — ალბათ კოსტას მაღაზია იწვისო.

— არავითარ შემთხვევაში, — ვუთხარი მე, — დაიძინე!

მეზობელ ოთახში ჩვენმა მეგობრებმა სინათლე აანთეს. შემდეგ მათი ლაპარაკი მოგვესმა.

— ვიცი, დარწმუნებული ვარ, — ამბობდა ვერა — კოსტას ცოლი, — შენი მაღაზია იწვის.

დავგირვებული ვარ: ქალები როგორც კი სახანძრო მანქანის ხმას გაიგონებენ, მაშინვე დაბეჯითებით ამბობენ, ჩვენი ქონება იწვისო.

მე და კოსტა ვცდილობდით დაგვერწმუნებინა ქალები, რომ ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ, როგორც გამოირკვა, ამას მხოლოდ მაშინ შევძლებდით, თუ ჩვენს ცოლებს მაღაზიასთან მივიყვანდით. ქალები მხოლოდ საკუთარ თვალებს უჯერებენ.

ჰაიჰარად ჩავიცვით, გარეთ გამოვვარდით და იცით? მართლა ის სახლი იწვოდა, რომელშიც კოსტას გარაჟი და მაღაზია იყო. ალი ცას სწვდებოდა!

11.

ქალების მეორე დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ ისინი ყოველთვის მართალი არიან!

ალი გარეთ გამოვიდა. კიბეები ფეხზე წამოაყენეს, ბადეები გაშალეს, კარები ცულით შეამტვრიეს.

— შემიშვით, ეს ჩემი მაღაზიაა! — დაიღრიალა კოსტამ და ცეცხლში შევარდა. მეც უკან მივყევი.

პოლისმენმა ხელი სტაცა და უკან გამოთრევა დაუპირა, შენობა ყოველ წუთს შეიძლება ჩამოინგრესო, მაგრამ კოსტა ისევ აყვირდა „ჯანდაბას, რას დავიძებ, ისინი უნდა ვიპოვნოო!“

ბოლში დავბორიალობდით, იატაკზე ხელებს ვაფათურებდით, ძაღლებს ვეძახდით, ვუსტვენდით, მაგრამ პასუხი ვერ მივიღეთ და უკან გამოვბრუნდით.

— იპოვნეთ თქვენი ფული და ქაღალდები? — გვკითხა პოლისმენმა.

— ძაღლები! — ამოისუნთქა კოსტამ, — რა იქნენ ძაღლები?

— რაღაცა კი გამოვარდა შიგნიდან, — წამოიძახა ვიღაცამ ჩვენს გვერდით.

— შენ ამ მხრიდან შემოუარე სახლს, მე ასე წავალ და ერთმანეთს შევხვდებით — მითხრა კოსტამ.

სირბილით გავექანე. თან ვუსტვენდი და გავყვიროდი — მურა, მურა, ქედანა, აქა ვარ, აქა!

გული გასკდომაზე მქონდა — ჩემი მეგობრები გაქრნენ, შეიძლება დაიწვნენ, შეიძლება დაფეთებულნი დაძრწიან ქუჩაში და თავიანთ პატარა გულში ფიქრობენ, სად არის ჩვენი პატრონი, რატომ არ გვეძებსო. მე და კოსტა ერთმანეთს შევხვდით და კიდევ ერთხელ შემოვურბინეთ სახლს. ბედმა არც მეორედ გაგვიღიმა. შემდეგ მაღაზიაში მივბრუნდით, შლანგს გადავახტით და კიბეების ქვეშ შევძვერით, მაგრამ კვლავ ვერაფერი ვიპოვნეთ და სხვა ქუჩაზე გავედით.

დავთვალიერე დაღვრემილი ქუჩები და ჩაბნელებული სადარბაზოები, მაგრამ მშიერი, მოკუნტული კატებისა და ადამიანების მეტი ვერაფერი ვნახე.

—მომიცადე, — შევძახე წინ მიმავალ კოსტას, — ისე ჩქარა მივდივართ, შეიძლება ძაღლებს გვერდი ჩავუაროთ და მეორედ დავკარგოთ. ჩემი ფანარი უნდა წამოვიღო. მანქანაში მაქვს, ქუჩას გავანათებ.

მოედანზე მივედი და ჩემი მანქანა მოვძებნე. მანქანის გვერდით მურა იწვა. ქედანა თავთან ედგა მცველად. ორივენი მჭვარტლსა და ზეთში იყვნენ ამოთხვრილი. მურას თათი დასისხლიანებოდა. მაგრამ ამას აღარა ვჩიოდი, გახარებულმა, ორივენი გულში ჩავისუტე. იმათაც ძალიან გაეხარდათ ჩემი დანახვა.

კოსტას დავუძახე, ვიპოვნე-მეთქი.

— ნეტა როგორ მიაგნეს მანქანას? — მკითხა კოსტამ, როცა მოგვიახლოვდა.

— ალბათ მურამ დაიმახსოვრა გზა. ფარდაგის მოსატანად რომ წამოვედით. ძაღლები შინ შევიყვანეთ და გარაჟში მივბრუნდით. მაგრამ გარაჟი მთლიანად დამწვარიყო.

— ალბათ ყველაფერი დაზღვეული გაქვს, მეგობარო, თორემ ამდენხანს რა გაგაჩერებდა შინ, — დასცინა პოლისმენმა კოსტას.

— ჩემი მეგობრის ძაღლებს ვეძებდი, — აუხსნა კოსტამ.

12.

— ამასობაში 25 ათასი დოლარის საქონელი და მოწყობილობა ცეცხლს მიანებეთ? ალბათ არაჩვეულებრივი ძაღლებია, არა?

— ნამდვილად! — თქვა სახანძრო რაზმის უფროსმა და მოგვიახლოვდა, უმაგათოდ ყველანი დაიწვებოდნენ.

როგორც გამოირკვა, ჩვენ ძაღლებს შუაღამისას აუტეხიათ ყეფა. სამ საათზე ვიღაც ზედა სართულზე მცხოვრები ძალიან გაბრაზებულა და პოლიციაში დაუპირებია წასვლა საჩივლელად. ძირს რომ ჩამოსულა, კვამლი შეუმჩნევია. ამ დროს ცეცხლი უკვე ოთახებში შეჭრილიყო.

კიდევ ხუთი წუთი და!... — თქვა რაზმის უფროსმა.

— ნამდვილად გმერებს ხართ! — ვუთხარი ჩემს ძაღლებს, როდესაც შინ მივბრუნდი. (ისინი უკვე დაბანილი და დავარცხნილი იწვნენ მისაღები ოთახის ნოხზე). ქალაქში რომ ვრჩებოდეთ, გაზეთებში დაგხატავდნენ და მედლებსაც მოგაკრავდნენ.

ცივი ღამე იყო. მე ბუხარს კუნძები შევუკეთე. ალის ავარდნისთანავე მურა აყმუვლდა, ქედანამ კი ოთახში წრიალი დაიწყო და საწყლად აწკმუტუნდა. ცეცხლი გამოეჩხრიკე, შეშა შიგნით შევწიე და ბუხარს ლიოონის ბადე ჩამოვაფარე. ძაღლები ყურადღებით მიმზერდნენ. შემდეგ უსიტყვოდ მოილაპარაკეს და დაადგინეს, რომ ამ ცეცხლის ნდობა შეიძლებოდა, რადგან ჯერ ერთი ჩვენ გვეკუთვნოდა და მერე საიმედოდ იყო დამწყვდეული გალიაში.

მურა და ქედანა ბუხრის კუთხეში მიწოლენ და დაიძინეს.

• • •

იმავე წლის ივნისში ერთი საუკეთესო მეგობარი გვესტუმრა. მას გადაწყვეტილი ჰქონდა არდადეგები ჩვენს ფერმაში გაეტარებინა. ეს მეგობარი 8 წლისა იყო. ნამდვილ სახელად მარიანა ერქვა, მაგრამ შინაურულად მელას ვეძახდით. მელა სხაპასხუპით ლაპარაკობდა ძაღლების ენაზე. ზოგ ბავშვს ესმის ძაღლების ლაპარაკი, მაგრამ როგორც კი წამოიზრდებიან, ამ ენას მაშინვე ივიწყებენ.

მარიანა დილაობით აივანზე გადმოდგებოდა და ძაღლებს ესაუბრებოდა: ცანგა, პანგა, პაღარა ცუღრა, ბუნგი ბუნგა...

მე არ ვიცოდი, ეს რას ნიშნავდა, მაგრამ ძაღლები მშვენივრად უგებდნენ, სიხარულით კუდრიალობდნენ მარიანას სიტყვებზე და მეგობრული ღრენითა და ომახიანი ყეფით უპასუხებდნენ.

მელა ქედანას თოჯინის ეტლში აბამდა, მურას თავისი ბაბთებით ულამაზებდა კუდს და ათასნაირ ოინს უწყობდა ჩაის სმის დროს, მაგრამ ქედანასა და მურაის მელა უყვარდათ და ყველაფერს უთმენდნენ. ერთხელ ერთი ჩვენი სტუმარი ქალი სასეირნოდ წავიდა და ქედანაც იახლა. მეზობლის მინდორს რომ ჩაუარა, გარეული ლაკოსტას მოჰკრა თვალი. ლაკოსტა ყვავოდა. ჩვენი სტუმარი ღობეში გაძვრა ყვავილის დასაკრეფად. იქვე მობალახე ძროხამ თავი ასწია, რამდენჯერმე ამოიცოხნა და შემდეგ ისე, დროის მოსაკლავად დაიზმუვლა: მუუუ!

———

(დასასრული შემდეგ ნომერში).

[-10]

ფ. 17/102

ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ, ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ!

ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲘ ᲓᲐ...

ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ

ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲣᲠᲘ სტატისტიკის მეთოდები პირველად ჩვენს ქვეყანაში გამოიყენეს ქართველმა სპეციალისტებმა ყურძნის მოსავლის ძირითადი ხარისხობრივი მაჩვენებლების — სრულ დამწიფებამდე ორი სამი თვით ადრე ნაყოფის შაქრიანობისა და მჟავიანობის გამოსარკვევად. ამით დადასტურდა მთელი რიგი საბჭოთა მეცნიერების აზრი, რომ შესაძლებელია მათემატიკური მეთოდების დახმარებით სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლის ხარისხობრივი მაჩვენებლების პროგნოზირება.

ყურძნის ხარისხის პროგნოზს საფუძვლად უდევს მრავალი წლის აგრომეტეოროლოგიური მონაცემები მევენახეობის განსახილველი რაიონების შესახებ. ამ ცნობების საფუძველზე სპეციალისტები ადგენენ სპეციალურ ცხრილებს, გამოჰყავთ კოეფიციენტები, გამოსათვლელი ტექნიკის დახმარებით ხსნიან განტოლებათა სისტემებს. ეს პროცესი პრინციპულად ცოტათი განსხვავდება სამრეწველო საწარმოთა პროდუქციის ხარისხის პროგნოზირებისაგან, მაგალითად, ქარხნებში უკვე დიდი ხანია მათემატიკური სტატისტიკის მეთოდები საშუალებას აძლევენ ინჟინრებს გაითვალისწინონ ნედლეულის ხარისხის, ჩარხებისა და სხვა მოწყობილობის მუშაობის სიზუსტისა და მწარმოებლობის გავლენა ნაწარმის ხარისხზე.

ყურძნის ხარისხის წინასწარმეტყველების ახალი მეთოდი საშუალებას იძლევა რაიმე რთული ქიმიური ანალიზების გაუკეთებლად მომზადდეს საჭირო ინფორმაცია მეღვინეებისათვის. მათ შესაძლებლობა ეძლევათ წინასწარ შეარჩიონ ნედლეულის გადამუშავების სათანადო ტექნოლოგია მაღალხარისხოვანი ღვინოების დასამზადებლად.

საბჭოთა კავშირის დ. ი. მენდელეევის სახელობის მეტროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თბილისის ფილიალში, სადაც დამუშავდა ყურძნის ხარისხის პროგნოზის უწვეულო მეთოდი, მათემატიკური სტატისტიკა ხელს უწყობს მთელი რიგი სხვა რთული ამოცანების გადაწყვეტასაც. მაგალითად, აქ წარმოებს გამოკვლევები ქართული ყურძნის ისეთი საქვეყნოდ ცნობილი ჯიშების ხარისხის მეცნიერულად დასაბუთებული სტანდარტების დასამუშავებლად, როგორიც არის „რქაწითელი“, „საფერავი“ და სხვები.

ᲙᲘᲜᲝ

ᲒᲐᲓᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲣᲨᲒᲐᲐᲨᲔ

„ᲘᲣᲠᲘ ᲑᲐᲠᲐᲛᲘᲫᲔ“ ნამდვილი გმირობა ჩაიდინა“. ეს სიტყვები ეკუთვნის სპორტის დამსახურებულ ოსტატს მიხეილ ხერგიანს. სახელგანთქმული საბჭოთა ალპინისტი, რომელსაც ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ „კლდის ვეფხვს“ უწოდებენ, ამას სრული პასუხისმგებლობით ამბობს. მასზე უკეთ ხომ არავინ იცის, რა დღე ადგებათ იმათ, ვისაც იერიში მიაქვს ცადაწვდილ მწვერვალებზე, მითუმეტეს ისეთ მრისხანესა და ვერაგზე, როგორიცაა უშბა.

უშბა... ეს მწვერვალი უკვე დიდი ხანია ითვლება ერთ-ერთ ყველაზე ძნელად მისადგომ მწვერვალად. მასზე სხვადასხვა დროს გაყვანილი მთელი რიგი მარშრუტები თავის დროზე რეკორდულად ითვლებოდა. ალბათ კავკასიონზე არ არის ამაზე უფრო დაუმორჩილებელი მწვერვალი, ამიტომ მასზე ასვლა მთამსვლელებს მიაჩნიათ ოსტატობის თავისებურ გამოცდად.

აგვისტოს დამდეგს ქართველ მთამსვლელთა დიდმა ჯგუფმა მიხეილ ხერგიანის მეთაურობით წამოიწყო ამ მწვერვალის იერიში. 45 კაცი— უმაგალითო შემთხვევა უშბის დაპყრობის ისტორიაში! — ავიდა მწვერვალზე.

მაგრამ აქ საუბარი გვექნება არა ამ უმაგალითო შემთხვევაზე, არამედ იმაზე, რომ მთამსვლელთა ჯგუფში იყო სამეცნიერო — პოპულარული და ქრონიკალურ-დოკუმენტური ფილმების სტუდიის ოპერატორი იური ბარამიძე. და არა თუ იყო, ფირზე გადაიღო შტურმი.

საქმეში ჩაუხედავ ადამიანს ეს არ გაუკვირდება, მაგრამ მთამსვლელები ამას ვერასოდეს ვერ გაბედავდნენ. მათზე უკეთ არავინ იცის, რას ნიშნავს ურთუღლესი ასვლის დროს ყოველი გრამი ტვირთი, რა ძნელია ასეთ სიმაღლეზე სუნთქვა, როგორ განიცდის ადამიანი ჟანგბადის ნაკლებობას, რა ძნელია ყოველი ნაბიჯი.

იური ბარამიძის ამოცანა კი იყო მართლად და შეულამაზებლად ეამბნა ამ მამაცი და გაბედული ადამიანების შესახებ, ზუსტი დოკუმენტებით ეჩვენებინა გზის მთელი სირთულე. ბევრჯერ სთხოვა მან ამხანაგებს დახმარებოდნენ გადაღებისათვის საჭირო წერტილის პოვნაში. უძირო უფსკრულზე თოკებით დაკიდებული იგი განაგრძობდა შრომას. გაითვალისწინეთ კიდევ, რომ მთამსვლელის მთელ სავალდებულო აღჭურვილობასთან ერთად მას ჰქონდა კიდევ სულ ცოტა 12 კილოგრამი ტვირთი, და მიხვდებით, თუ რა მძიმე იყო ეს შრომა.

ამ პატარა ამბავში არის კიდევ ერთი გმირი — „კს-50-ბ“ მარკის კინოკამერა — ოპერატის განუყრელი თანამგზავრი. საქმე ის არის, რომ შტურმი განზრახული იყო უფრო ადრე. რამდენიმე კაცი, მათ შორის იური ბარამიძეც, გამოვიდა კარვებიდან, რათა გზა გაეკვალათ მწვერვალისაკენ. მაგრამ, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე მთაში, დაუბერა ქარმა, გადაიქცა ქარბუქად და... მოგლიჯა კარავი, სადაც დატოვებული იყო კამერა და ფერადფირიანი კასეტები. საჭირო გახდა ახალი კარვის დადგმა. ქარბუქმა კი 10 დღეს გასტანა. და მთელი ამ დროის განმავლობაში იური მოუსვენრად იყო, ფიქრობდა თავის კამერაზე. ბოლოს, უკვე შტურმის დღეს, როცა გამოიდარა, საერთო ძალით შეუდგნენ კამერისა და კასეტების ძებნას. ისინი ორი მეტრი სისქის თოვლის ქვეშ იყო.

— ჩემზე ბედნიერი კაცი არ იყო, — ამბობდა იური, — როცა ხელში ავიღე კამერა, დავაჭირე კნოპს თითი და მომესმა მისი წიკწიკი. ძველმა მეგობარმა არ მიღალატა.

ორი ათასი მეტრი გადაღებული ფირი ჩამოიტანა ოპერატორმა თბილისში. ეს იქნება მასალა ფილმებისათვის მიხეილ ხერგიანზე და უშბის შტურმზე.

ბ. ბაქრაძე.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘ



ᲙᲚᲐᲡᲘᲓᲐᲜ — ᲙᲚᲐᲡᲨᲘ.



ᲛᲔᲤᲮᲚᲐᲓᲔ.

ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲘᲜᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ

ᲛᲝᲛᲘᲡᲛᲘᲜᲔᲗ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: 227 მეტრის საშუალო ტალღაზე ანუ 1322 კილოჰერცის სიხშირეზე, 30,83 მეტრის მოკლე ტალღაზე ანუ 9730 კილოჰერცის სიხშირეზე.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით 50,59 მეტრის მოკლე ტალღაზე ანუ 5930 კილოჰერცის სიხშირეზე.

სარედაქციო კოლეგია

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲔᲠᲗᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, Ბ. ᲐᲗᲝᲜᲔᲚᲘᲡ, Ქ. № 25.